ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №4858169

ნომერი: AR1730139

თარიღი : 22.01.2020

გაცემის თარიღი : 12.02.2020

გაცნობის თარიღი : 12.02.2020

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, დავით გურამიშვილის გამზირი, N 62ბ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გურამ ტაბატაძე პ/ნ 01001093030
- საქართველო, ქ. თბილისის ნაძალადევის რაიონში, ჩარგალის ქ., N 79 (ნაკვეთი №1/55) სადარბაზო 2 სართული 4, ბინა №22

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 18 ივნისის №4020560 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2020 წლის 22 იანვარს №AR1730139 განაცხადით მომართა გურამ ტაბატაძემ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2018 წლის 18 ივნისის №4020560 ბრძანებაში დამკვეთის ცვლილება.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისთვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ სამსახურის 2014 წლის 27 ოქტომბრის №1560822 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, სექტორი ნაძალადევი, გურამიშვილის გამზირი №64, (ნაკვ. №005/056), / გურამიშვილის გამზირი №64 (ნაკვ. №005/055) / გურამიშვილის გამზირი №64, (ნაკვ. №05/044), N01.12.01.005.100 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი. გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2014 წლის 27 ოქტომბრიდან 2017 წლის 27 ოქტომბრის ჩათვლით.

სამსახურის 2018 წლის 18 ივნისის №4020560 ბრძანებით, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობის ნებართვის მოქმედების ვადის გასვლის გამო, გაიცა ახალი მშენებლობის ნებართვა. მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2018 წლის 18 ივნისიდან 2021 წლის 18 ივნისის ჩათვლით. აღნიშნულ ბრძანებაში დამკვეთად დაფიქსირდა შპს „კოლხეთი გრუპი“ (N400115870).

წარმოდგენილი განაცხადით, მიწის ნაკვეთის მესაკუთრის ცვლილების გამო, მოთხოვნილია სამსახურის 2018 წლის 18 ივნისის №4020560 ბრძანებაში დამკვეთის ცვლილება და დამკვეთად შპს „კოლხეთი გრუპი“-ს (N400115870) ნაცვლად შპს „მეგობრობა“-ს (N400015032) დაფიქსირება.

საჯარო რეესტრი ამონაწერის (რეგისტრაციის ნომერი: N882020027987, მომზადების თარიღი: 21/01/2020 09:49:10) თანახმად, N01.12.01.005.100 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მესაკუთრეს წარმოადგენს შპს „მეგობრობა“ (საიდენტიფიკაციო კოდი: N400015032).

მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრიდან ამონაწერის (განაცხადის რეგისტრაციის ნომერი, მომზადების თარიღი: B20002710, 14/01/2020) თანახმად შპს „მეგობრობა“-ს (N400015032) დირექტორს წარმოადგენს მამუკა არევაძე (პირადი: N56001003302), მის მიერ გაცემული 2019 წლის 22 ივლისის N190861610 მინდობილობით კი დგინდება განმცხადებლის უფლებამოსილება.

საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის თანახმად, მშენებლობის ნებართვის გაცემის ბოლო სტადიაზე მშენებლობის ნებართვის მაძიებელი/მშენებლობის ნებართვის მფლობელი შეიძლება იყოს მიწის ნაკვეთის ან მასზე განთავსებული ან ასაშენებელი შენობა-ნაგებობის ან მისი ნაწილის მესაკუთრე, მოსარგებლე ან მის/მათ მიერ უფლებამოსილი პირი, რომელსაც აქვს ობიექტის სამშენებლო განვითარების ინტერესი.

საქართველოს ზოგადი ადმინისტარციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ვინაიდან, დღეისათვის, მიწის ნაკვეთი წარმოადგენს შპს „მეგობრობა“-ს (N400015032) საკუთრებას, რომლის უფლებამოსილი წარმომადგენელი სამსახურს მომართავს დამკვეთის ცვლილების მოთხოვნით, სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების შეტანას და დამკვეთად შპს „მეგობრობა“-ს (N400015032) დაფიქსირებას.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსი“-ს თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 18 ივნისის №4020560 ბრძანებაში და დამკვეთად შპს „კოლხეთი გრუპი“-ს (N400115870) ნაცვლად დაფიქსირდეს შპს „მეგობრობა“ (N400015032).
2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 18 ივნისის №4020560 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2018 წლის 18 ივნისის №4020560 ბრძანებასთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის.: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge